საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-1049

ქ. თბილისი

13/11/2020

ქ. ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, შპს „აზა კარბონის“ ნავთობის კოქსის კალცინირების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის I დანართის მე-2 პუნქტის და ამავე კოდექსის II დანართის მე-5 პუნქტის 5.4 ქვეპუნქტის საფუძველზე,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. გაიცეს, ქ. ფოთის თავისუფალ ინდუსტრიულ ზონაში, შპს „აზა კარბონის“ ნავთობის კოქსის კალცინირების საწარმოს მშენებლობისა და ექსპლუატაციის პროექტზე სკოპინგის დასკვნა №89 (30.10.2020);
2. შპს „აზა კარბონ“ ვალდებულია გზშ-ის ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს №89 (30.10.2020) სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს „აზა კარბონს“;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „აზა კარბონის“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. ბრძანების ძალაში შესვლიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდსა და ფოთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი